საქართველო
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია
GEORGIA
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 793 ზუგდიდი
23/03/2020 793-02-4-202003231534

# მერის ბრძანება

**ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გაფართოების პრევენციის მიზნით კომისიის შექმნის შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე.“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 52-ე მუხლის შესაბამისად,

**ვბრძანებ:**

1. ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების გაფართოების პრევენციის მიზნით შეიქმნას კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- გიორგი შენგელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერი - კომისიის თავმჯდომარე;
- გიგა ფარულავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე - კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;
- კონსტანტინე კაკავა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - კომისიის წევრი;
- მიხეილ ჭკადუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ეკონომიკური პოლიტიკის და მუნიციპალური სერვისების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ლექსო თოდუა - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ნინო სხულუხია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- დავით ჭანტურია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი;

- იდა ქვარაია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურული პროექტების მართვის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- გიგა მელია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- კობა ჯიქია - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი;
- ბაკური კვეტენაძე - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის უფროსი კომისიის წევრი;

2. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან კოორდინირებით განსაზღვროს იმ საქონელისა და მომსახურების ჩამონათვალი, რომელიც აუცილებელია საგანგებო მდგომარეობის დროს სამსახურების ფუნქციონირებისათვის და აღნიშნული ნუსხა პერიოდულად მიაწოდოს საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

3. დაევალოს ადმინისტრაციულ სამსახურს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურთან კოორდინირებით განსაზღვროს იმ ობიექტების ნუსხა, სადაც უნდა განხორციელდეს სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება და აღნიშნული ნუსხა პერიოდულად მიაწოდოს საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს;

4. დაევალოს სოციალური და ჯანდაცვის სამსახურს საჭიროებიდან გამომდინარე მიაწოდოს ინფორმაცია საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურს ერთჯერადი სამედიცინო სახარჯი მასალის, სადეზინფექციო საშუალებებისა და სამედიცინო ინვენტარის შესყიდვის აუცილებლობის შესახებ.

5. საფინანსო-საბიუჯეტო და შესყიდვების სამსახურმა შემჭიდროებულ ვადებში უზრუნველყოს მოწოდებული მასალების საფუძველზე საჭირო თანხების მოძიება და შესყიდვების განხორციელდება.

6. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მისი მოვალეობა განახორციელოს კომისიის თავმჯდომარის მოადგილემ.

7. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს კანონის „საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი“ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაცნობის დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში (მის. ქ. ზუგდიდი რ.ლაღიძის ქ. N12).

გიორგი შენგელია

მერი